

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის №154/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი "Orion" + გამოსახულება მსგავსია კომპანია "ორიონ კორპორეიშენ" (მისამართი: 30-10 მუნბაე-დონგი, იონგსან-კუ, სეული, KR (KR /KR)) სახელზე რეგისტრირებული ნიშნებისა: "ORION" (რეგ. №9077, რეგისტრაციის თარიღი: 29/04/98), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. №21927, რეგისტრაციის თარიღი: 28/10/11), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. №21928, რეგისტრაციის თარიღი: 28/10/11), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. №21929, რეგისტრაციის თარიღი: 28/10/11) მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილ და დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ იდენტური სიტყვიერი ჩანაწერი "Orion". მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაში ფიგურირებს სხვა სიტყვიერი ჩანაწერები და გამოსახულებითი ელემენტები, როგორც დაპირისპირებული, ასევე განცხადებული ნიშნის შემთხვევაში, ეს არ სძენს განცხადებულ სასაქონლო ნიშანს საკმარის განმასხვავებელუნარიანობას და იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი შპს „Orion“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული ბრძანება ემყარება ექსპერტიზის დასკვნას, სადაც უარის მიზეზად მითითებულია შ.პ.ს „Orion“-ის მსგავსება კორეული ფირმის სახელწოდებასთან “ORION Choco.Pie Original”, რაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს არ სძენს საკმარის განმასხვავებელუნარიანობას და იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას. აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშანში „ORION Choco.Pie Original“, პირველი სიტყვა დიდი ლათინური შრიფტით არის დაწერილი, ხოლო სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს, მხოლოდ პირველი ასო (შრიფტი) არის (Orion) დიდი შრიფტით შესრულებული, დანარჩენი კი პატარა შრიფტით არის ნაწერი. ასევე არსებითად განსხვავდება განცხადებული ნიშნის პირველი

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Orion“ (IR 1141114) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები "ORION" (რეგ. N9077), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. #21927), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. N21928), "ORION Choco.Pie Original SWEET CARE" + გამოსახულება (რეგ. N21929) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს ასევე გამოსახულებას, კერძოდ სიტყვიერი ნაწილის ასო „O“ –ში ჩახატული შავი ოვალის გამოსახულებას. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „ORION Choco.Pie Original SWEET CARE“ (რეგ. №21927, რეგ. №21928, რეგ. №21929) წარმოადგენენ კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც სიტყვიერ აღნიშვნებთან ერთად შეიცავენ ასევე წითელ და ლურჯ ფერებში მოთავსებულ ნამცხვრის გამოსახულებას, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს აღნიშნული სასაქონლო ნიშნით წარმოებულ საქონელზე, რომ აღნიშნული ნიშნით იწარმოება ტკბილეული. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ერთ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „ORION Choco.Pie Original SWEET CARE“ (რეგ. №21927, რეგ. №21928, რეგ. №21929) წარმოადგენს ექვს სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, რომელიც გაცილებით უფრო

გრძელია, ვიდრე განცხადებული სასაქონლო ნიშანი. განსხვავებულია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთავრდება თანხმნოვანზე ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მას ბოლოში ემატება „ი“ ხმოვანი და გამოითქმის, როგორც „ორიონი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ორიონ ჩოკო ფაი ორიჯინალ სვით ქეარი“. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Orion“ წარმოადგენს თანავარსკვლავედის სახელს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „ORION Choco.Pie Original SWEET CARE“ სემანტიკურად უკავშირდება შოკოლადის ნამცხვარს და არა თანავარსკვლავედის სახელს მხოლოდ. რაც შეეხება განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „ORION“ (რეგ. №9077), აქაც სახეზეა ვიზუალური განსხვავება. კოლეგიას მიაჩნია ასევე, რომ საკმაოდ განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რაც გამორიცხავს სასაქონლო ნიშნების აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. კერძოდ განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მომსახურების კლასში, კერძოდ 43-ე კლასის შემდეგი მომსახურების ჩამონათვალის მიმართ: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა; სასტუმროს მომსახურება; შეხვედრების ჩასატარებელი ოთახების გაქირავება; სასაუზმეები; საკვების შეკვეთით დამზადება და შინ მიტანა; თვითმომსახურების რესტორნები; რესტორნის მომსახურება; მოტელები; კემპინგებით უზრუნველყოფა; კაფეტერიები; კაფეები; კარვების გაქირავება; დროებითი საცხოვრებლის დაჯავშნა; დროებითი საცხოვრებლის გაქირავება; ბარების მომსახურება; ავეჯის, მაგიდის თეთრეულისა და ჭურჭლის გაქირავება; ადგილების დაჯავშნა სასტუმროში“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები დარეგისტრირებულია 30-ე კლასის იმ საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც უკავშირდება ტკბილეულს, შოკოლადებს, ნაყინებს საკონდიტრო ნაწარმს და ა.შ. და არანაირი კავშირი არ აქვს ზემოაღნიშნულ მომსახურებასთან. საქონლისა და მომსახურების აშკარა განსხვავება კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის

კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „Orion“ (საიდ. №72433/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „Orion“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის №154/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „Orion“ (საიდ. №72433/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე

